მოწყობილობის დანიშნულება

ვენტილატორი განკუთვნილია შენობების ვენტილაციისთვის.

უსაფრთხოების ზომები

- ელექტროშოკის თავიდან ასაცილებლად, არ ჩადოთ მოწყობილობა ან კვების კაბელი წყალში ან სხვა სითხეში. ასევე არ დაუშვათ მოწყობილობასა და კაბელზე ტენის მოხვედრა.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა აბაზანაში, საშხაპეში ან აუზთან ახლოს. არ დადგათ მოწყობილობა ისეთ ადგილას, სადაც ის შეიძლება ჩავარდეს აბაზანაში ან წყლით სავსე ჭურჭელში.
- არ სცადოთ მოწყობილობის დამოუკიდებლად დაშლა შეკეთების მიზნით. მუშაობის რაიმე შეფერხების აღმოჩენისას, დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ მისი ექსპლუატაცია და მიმართეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს.
- ნუ განათავსებთ მოწყობილობას სითბოს წყაროებთან (გამათბობლები, რადიატორები და ა.შ.) ახლოს, ზედმეტად მტვრიან ადგილებსა და ცუდად განიავებად შენობებში.
- მოარიდეთ მოწყობილობა მზის პირდაპირი სხივების ზემოქმედებას.
- მოათავსეთ მოწყობილობა მხოლოდ მშრალ და სწორ ზედაპირებზე. ასევე დარწმუნდით, რომ კვების კაბელი არ ეხება ცხელ საგნებსა და ბასრ კიდეებს.
- არ შეეხოთ მოწყობილობას სველი ხელებით.
- შესაძლო ხანძრის თავიდან ასაცილებლად, არაფრით დაფაროთ ვენტილატორის სავენტილაციო ხვრელები.
- არ ჩადოთ არანაირი საგანი დამცავი ბადის ხვრელებში მაშინაც კი, როდესაც ვენტილატორი გამორთულია.
- კვების წყაროსთან დაკავშირებამდე დარწმუნდით, რომ თქვენი სახლის ელექტროქსელის ძაბვა შეესაბამება ტექნიკურ მახასიათებლებს. შეაერთეთ მოწყობილობა მხოლოდ დამიწებულ როზეტში.
- ნუ განათავსებთ მომუშავე მოწყობილობას ადვილად აალებადი სითხეების გვერდით.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა დაზიანებული კვების კაბელით ან ჩანგლით. კაბელის შესაცვლელად მიმართეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს.
- ნუ განათავსებთ მოწყობილობას ღია ფანჯარასთან ახლოს.
- არ ჩართოთ მოწყობილობა, თუ მასზე არ არის დამონტაჟებული დამცავი ცხაურები, ან თუ ისინი არასაიმედოდ არის დაფიქსირებული ან დაზიანებულია.
- გამორთეთ მოწყობილობა და გამოსთიშეთ იგი კვების ქსელიდან, თუ მას არ იყენებთ, ასევე მისი გაწმენდის, გადაადგილების, აწყობის ან დაშლის დროს.
- მოწყობილობის ქსელიდან გამორთვისას ხელი მოჰკიდეთ ჩანგალს, არასოდეს დაქაჩოთ კაბელი.
- არასოდეს გამოიყენოთ ვენტილატორი სადგამი საფუძვლის (ძირის) და/ან სხვა ნაწილების გარეშე, რომლებიც სწორად უნდა იყოს დამონტაჟებული მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად.
- გამოიყენეთ ვენტილატორი მხოლოდ ვერტიკალურ მდგომარეობაში.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისათვის, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთათვის გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. თვალი ადევნეთ, რომ ბავშვებმა არ ითამაშონ მოწყობილობით.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად.